ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1935 წ. მაისის 15. № 12 ტფილისი.

შ ი ნ ა ა რ ს ი

სოციალური უზრუნველყოფა

65. სრულიად საქართველოს ომის ინვალიდებისა, ავადმყოფ, დაჭრილ და დემობილიზებულ წითელარმიელების და წითელფლოტელებისა, მუშათა და გლეხთა წითელი არმიის და ფლოტის რიგებში გაწვეულ პირთა ოჯახებისა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე საზოგადოების დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება სრულიად საქართველოს ომის ინვალიდებისა, ავადმყოფ, დაჭრილ და დემობილიზებულ წითელარმიელების და წითელფლოტელებისა, მუშათა და გლეხთა წითელი არმიის და ფლოტის რიგებში გაწვეულ პირთა ოჯახებისა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე საზოგადოების შესახებ.

სოციალური უზრუნველყოფა

65. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს

Ვოლ. 1936-1-11

სრულიად საქართველოს ომის ინვალიდებისა, ავადმყოფ, დაჭრილ და დემობილიზებულ წითელარმიელების და წითელფლოტელებისა, მუშათა და გლეხთა წითელი არმიის და ფლოტის რიგებში გაწვეულ პირთა ოჯახებისა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე საზოგადოების დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნას ამასთანავე დართული დებულება „სრულიად საქართველოს ომის ინვალიდებისა, ავადმყოფ, დაჭრილ და დემობილიზებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელარმიელების და წითელფლოტელებისა, მუშათა და გლეხთა წითელ-
არმიის და ფლოტის რიგებში გაწვეულ პირთა ოჯახებისა და ომში დაღუპულ
პირთა ოჯახების დამხმარე საზოგადოების შესახებ".

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა სა-
ბჭოს 1928 წლის დეკემბრის 8-ის დადგენილება „სოციალური უზრუნველყოფის
სახალხო კომისარიატთან არსებული ომის ინვალიდთა, ავადმყოფ, დაჭრილ
და დემობილიზებულ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების
დამხმარე კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ" და თვით დებულება
(საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 11; № 22, მუხ. 252; 1931 წ. №
15, მუხ. 180 (კარი II, ბ. 8) და აგრეთვე სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა სა-
ბჭოს 1932 წლის აპრილის 22-ის დადგენილება „ომის ინვალიდთა, ავადმყოფ,
დაჭრილ და ავადმყოფობის გამო დემობილიზებულ წითელარმიელთა და ომში
დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე სრულიად საქართველოს საზოგადოების
მოწყობის შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. 11 №-ი მუხ. 81).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **მ. ტოროშელიძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1935 წ. თებერვლის 22. № 16/256.
ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სრულიად საქართველოს ომის ინვალიდებისა, ავადმყოფ, დაჭრილ და დემობილიზებულ წითელარმიელების და წითელფლოტელებისა, მუშათა და გლეხთა წითელი არმიის და ფლოტის რიგებში გაწვეულ პირთა ოჯახებისა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე საზოგადოების შესახებ.

ზოგადი დებულებანი.

1. სრულიად საქართველოს ომის ინვალიდებისა, ავადმყოფ, დაჭრილ და
დემობილიზებულ წითელარმიელების და წითელფლოტელებისა, მუშათა და
გლეხთა წითელ არმიაში და წითელ ფლოტში გაწვეულ პირთა ოჯახებისა და
ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე საზოგადოება, წარმოადგენს რა
მშრომელთა მასობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, თავის ამოცანად ისა-
ხავს, მშრომელი მოსახლეობის ყურადღების მიპყრობით სამოქალაქო ომის
ინვალიდებისა, სოციალური უზრუნველყოფის სამხედრო კონტინგენტებისა, წი-
თელი არმიიდან და წითელი ფლოტიდან დემობილიზებული პირებისა, ომში
დაღუპულ პირთა ოჯახებისა და აგრეთვე წითელ არმიასა და წითელ ფლოტში
გაწვეულ პირთა ოჯახების დახმარების საქმისადმი, ხელი შეუწყოს ქვეყნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებას და წითელი არმიის და წითელი ფლოტის ძლიერების განმტკიცებას.

2. დასახული ამოცანების განსახორციელებლად, საზოგადოება:

ა) დარაზმავს და ჩააბამს საზოგადოების წევრებად და მის პრაქტიკულ მუშაობაში ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ფართო მასებს და წარმართავს აქტივის მუშაობას იმ მხრივ, რომ მასობრივი მომსახურეობა გაეწიოს წითელარმიელთა და წითელფლოტელთა ოჯახებს, რომ გამოირკვეს მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობა და აღმოეჩინოს მათ დახმარება კანონით მინიჭებული შეღავათების გამოსაყენებლად; ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს წითელარმიელთა ოჯახების საჩივრების შემოწმებას, რისთვისაც გამოიყენოს ბეჭდვითი სიტყვა, რადიო, კინო, მოაწყოს ლექციები, მოხსენებები და კრებები, განახორციელოს სხვადასხვა მომსახურეობა, მოაწყოს შეფობა და გამოსცეს სათანადო ლიტერატურა;

ბ) განახორციელებს მუშათა და გლეხთა წითელი არმიის და ფლოტის რიგებში გასაწვევ პირთა, დემობილიზებულ ყოფილ წითელგვარდიელთა, წითელპარტიზანთა და ომის ინვალიდთა უფლებრივ და მასობრივ მომსახურეობას, კერძოდ, აღმოუჩენს მათ რეალურ დახმარებას შრომითი მოწყობის გზით, როგორც სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ორგანოების წამოწყებებში, ისე სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წამოწყებებში;

გ) მოაწყობს მასობრივი საზოგადოებრივი კონტროლის და დახმარების გაწევას სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ორგანოებისა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, რომელთაც მინდობილი აქვთ სამხედრო ვალდებულებების და მათი ოჯახებისა და აგრეთვე სამოქალაქო ომის ინვალიდებისა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობა;

დ) დააწესებს საზოგადოების წევრთა სწორ აღრიცხვას და განსაზღვრავს წევრობას საზოგადოების მუშაობაში წევრთა აქტიური მუშაობის საფუძველზე;

ე) მოაწყობს პერიფერიისათვის ყოველდღიური ხელმძღვანელობის გაწევას საორგანიზაციო-მასობრივი და საფინანსო მუშაობის, ინსტრუქტაჟის, კადრების შერჩევისა და მუშაობაში ყოველგვარი ნაკლის თავიდან აცილების ხაზით.

3. საზოგადოება არსებობს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან, ავრცელებს თავის მოქმედებას საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე და ანხორციელებს თავის მუშაობას საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატისა და სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელობით და კონტროლით.

საზოგადოების მთელი მუშაობა ტარდება მშრომელთა კლასობრივი სოლიდარობისა და საზოგადოებრივი თვითმოქმედების საფუძველზე სოციალისტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეჯიბრის და დამკვრელობისა და ფართო გაშლილი თვითკრიტიკის ფეხზე დებით.

4. საზოგადოება და მისი ადგილობრივი ორგანიზაციები: რესპუბლიკანური (აფხაზეთის და აჭარისტანის ავტონომიური რესპუბლიკებისა), საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), სარაიონო და საქალაქო არიან იურიდიული პირები და სათანადო რეგისტრაციის შემდეგ, დაკისრებული ამოცანების განსახორციელებლად შეუძლიათ შეიძინონ ყოველგვარი ქონება, აიღონ იჯარით, გაასხვისონ და დააგირაონ იგი, დადონ გარიგება, ხელშეკრულება, იკისრონ ვალდებულებანი, ისარჩელონ და პასუხი აგონ სასამართლოში, მიიღონ შეწირულებანი და ქონება საჩუქრად, თანხის შეუზღუდველად.

შენიშვნა. ცენტრალური და თვითეული ადგილობრივი ორგანიზაცია პასუხს აგებს თავისი ვალდებულებისათვის დამოუკიდებლად და მხოლოდ თავისი ქონებისა და კაპიტალის ფარგლებში.

5. საზოგადოებას და მის ადგილობრივ ორგანიზაციებს აქვთ ერთიანი ნიმუშის ბეჭედი, დაწესებული საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის მიერ. საზოგადოების წესდება შემუშავდება ამა დებულების საფუძველზე და მას დაამტკიცებს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი.

II. საზოგადოების შედგენილობა, მისი წევრების უფლება-მოვალეობანი.

6. საზოგადოების წევრად შეიძლება იყოს ყველა მოქალაქე, ვისაც საქართველოს სსრ კონსტიტუციით აქვს საარჩევნო უფლება. საზოგადოების წევრებად შეიძლება შევიდნენ, საზოგადოების „ნორჩი მეგობრების“ სახით, მშრომელთა სასკოლო ასაკის ბავშვები, რომელნიც თავის მუშაობას ატარებენ საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის განსაკუთრებული ინსტრუქციის საფუძველზე და რომელთაც საზოგადოების წევრთა კრებებზე აქვთ სათათბირო ხმის უფლება, ხოლო მათ არ შეუძლიათ აირჩიონ ან თვით იქნან არჩეული თანამდებობაზე საზოგადოების საქმეთა ხელმძღვანელობისათვის.

7. საზოგადოების წევრად მიღება და წევრობიდან გამოსვლა ნებაყოფლობითია. ახალი წევრები მიიღებიან საზოგადოების უჯრედების ბიუროების მეშვეობით, ხოლო ეს შემდგომ დამტკიცებულ უნდა იქნას უჯრედის საერთო კრებაზე.

8. საზოგადოების წევრი ვალდებულია: ა) დროზე შეიტანოს თავის უჯრედში საწევრო გადასახადი, ბ) აქტიური მონაწილეობა მიიღოს თავისი უჯრედის მუშაობაში, საერთო კრების მუშაობაში, მოწყობილ წრეებში და საერთოდ ყველა ღონისძიებაში, რასაც უჯრედი ანხორციელებს როგორც წევრების შესაგროვებლად, ისე სახსრის ასაკრეფად, გ) აქტიურად შეუწყოს ხელი საზოგადოების მთელ საქმიანობას და განსაკუთრებით გასწიოს აგიტაცია საზოგადოებაში წევრად შესვლის სასარგებლოდ, დ) იყოს აქტიური მოწინავე საზოგადოებრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომუშავე და სოციალისტური შეჯიბრის და დამკვრელობის ინიციატორი, როგორც თავის საწარმოში, ისე საზოგადოებრივ მუშაობაში.

საზოგადოების „ნორჩ მეგობართა" მოვალეობანი იგივეა, რაც საზოგადოების წევრებისა.

9. საზოგადოების წევრად მიღებისა და აგრეთვე მისი შემადგენლობიდან გამოსვლისა და გარიცხვის წესი და პირობები განისაზღვრება საზოგადოების წესდებით.

10. საზოგადოების ყველა წევრი, გარდა არასრულწლოვანისა, შეიძლება არჩეულ იქნას საზოგადოების საქმეთა მმართველობის ყველა თანამდებობაზე.

მმართველობისა და კონტროლის ორგანოების არჩევის წესი და მათი მოქმედების საგანი განისაზღვრება საზოგადოების წესდებით.

11. საზოგადოების წევრად შემსვლელი პირი შეიტანს შესასვლელ და საწევრო გადასახადს, რომლის რაოდენობას განსაზღვრავს საზოგადოების ცენტრალური საბჭო.

III. საზოგადოების სახსარი.

12. საზოგადოებისა და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების სახსარს შეადგენს:

ა) შესასვლელი და საწევრო გაასახადი;

ბ) შემოსავალი, რასაც საზოგადოება მიიღებს მისთვის ნებადართული ლატარიების, გამოფენების, ბაზრობის, ლექციების, მოხსენებების, კონცერტების, სპექტაკლების და კინო-სეანსების მოწყობით და აგრეთვე ისეთი ლიტერატურის, ნიშნების, სხვადასხვა პლაკატების და სხვ. გამოცემით და გავრცელებით, რაც ხელს უწყობს საზოგადოების, მისი ამოცანებისა და პრაქტიკული მუშაობის პოპულარიზაციას;

გ) ნებაყოფლობითი შემოსავალი, ფულადი და ნატურალური შეწირულებანი;

დ) უჯრედების შემოსავლის პროცენტული ანარიცხი საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის და ამ უკანასკნელთა შემოსავლის პროცენტული ანარიცხი ზემდგომი ადგილობრივი ორგანიზაციისათვის და სრულიად საქართველოს საზოგადოებისათვის; ეს ანარიცხი გადაიდება ისეთი რაოდენობით, რასაც დააწესებს საზოგადოების ცენტრალური საბჭო და დაამტკიცებს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი;

ე) ყოველწლიური ანარიცხები, რასაც გადადებს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებული სასწავლო-საწარმოო და საწარმოო წამოწყებების სამმართველო, თანახმად საზოგადოების ხარჯთაღრიცხვებისა, რომელთაც დაამტკიცებს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV. საზოგადოების და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების მმართველობის და კონტროლის ორგანოები.

13. საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციებია: საზოგადოების პირველადი უჯრედები, სარაიონო, საქალაქო, საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის) და რესპუბლიკანური (აფხაზეთის და აჭარისტანის ავტონომიური რესპუბლიკების) ორგანიზაციები, ხოლო ყველა ადგილობრივი უჯრედის და ორგანიზაციის სათავეში დგას საზოგადოების ცენტრალური საბჭო.

14. უჯრედს, როგორც წესი, სასყიდლიანი მომუშავე არა ჰყავს. უჯრედის ბიუროს თავმჯდომარეს ამტკიცებს საზოგადოების სარაიონო ორგანიზაცია და მისი შეცვლა უნდა მოხდეს მხოლოდ ამ ორგანიზაციის შეტყობინებით და თანხმობით.

თვითეული უჯრედი ეწევა მუშაობას მისთვის განსაზღვრულ მუდმივ ტერიტორიალურ უბანში, რასაც გამოჰყოფს საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაცია (ქარხანა, ფაბრიკა, სამხედრო ნაწილი, საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობის სახლი, კვარტალი); ამასთანავე, სავალდებულო წესით, გარდა თავისი წამოწყების, დაწესებულების თუ სამხედრო ნაწილისა, უჯრედს მიემაგრება განსაზღვრული დასახლებული კვარტალი, დაბა, კოლმეურნეობა და სხვ.. უჯრედი ვალდებულია თავისი ძალებით რეგულარული მომსახურეობა გაუწიოს მიმაგრებულ უბანში აღრიცხვაზე აყვანილ კონტინგენტს და თვეში ერთხელ მაინც მოიწვიოს ამ კონტინგენტის კრება და გააკეთოს ამ კრებაზე ანგარიში.

15. უჯრედის თვითეულ წევრს აქვს მუშაობის განსაზღვრული უბანი, გამოყოფილი უჯრედის ბიუროს მიერ. უჯრედის წევრის ძირითადი მუშაობა მდგომარეობს იმაში, რომ რეგულარული კავშირი იქონიოს უჯრედის წევრზე მიმაგრებულ ოჯახებთან, აღმოუჩინოს მათ სხვადასხვა რეალური დახმარება— რჩევა-დარიგება, განმარტება, ხელის შეწყობა ფულადი დახმარებისა და შეღავათების დანიშვნაში, უშუალო მატერიალური დახმარება და სხვ.

16. უჯრედის მიერ შეკრეფილი ყველა სახსარი (ბესასვლელი, საწევრო გადასახადი და სხვა შემოსავალი) ყოველკვარტალობით უნდა გადაეცეს საზოგადოების ადგილობრივ ორგანიზაციას, რათა განაწილდეს საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული წესისამებრ.

სახსრის ყოველგვარი ხარჯვა უჯრედში დახმარების აღმოსაჩენად სისწორით უნდა იქნას აღრიცხული, და დახმარების აღმოჩენის მართებულობა უნდა შეამოწმოს უჯრედის სარევიზიო კომისიამ.

უჯრედის მიერ სახსრის დახარჯვა საადმინისტრაციო საჭიროებისათვის აკრძალულია.

უჯრედის სახსარი უნდა ინახებოდეს მიმდინარე ანგარიშზე სახელმწიფო ბანკში ან სახელმწიფო შემნახველ სალაროში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V. საზოგადოების ადგილობრივი ყრილობები (კონფერენციები) და საბჭოები, მათი კომპეტენცია და მუშაობის მეთოდები.

17. საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციების სტრუქტურა განისაზღვრება საზოგადოების წესდებით, რომელსაც გამოსცემს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი ამა დებულების საფუძველზე (მუხ. 5).

VI. საზოგადოების სრულიად საქართველოს ყრილობა.

18. საზოგადოების სრულიად საქართველოს ყრილობა საზოგადოების უმაღლესი ორგანოა.

19. ყრილობები არის ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივი. ჩვეულებრივ ყრილობებს მოიწვევს საზოგადოების ცენტრალური საბჭო ან მისი პრეზიდიუმი ერთხელ ორ წელიწადში. არაჩვეულებრივი ყრილობა მოიწვევა ცენტრალური საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის ინიციატივით ან საზოგადოების ორგანიზაციების არა ნაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნით, ან და ცენტრალური სარევიზიო კომისიის მოთხოვნით. ყრილობის მოწვევის დროსა და ადგილს, ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმას და აგრეთვე ყრილობის დღის წესრიგს დაადგენს საზოგადოების ცენტრალური საბჭო ან მისი პრეზიდიუმი.

20. სრულიად საქართველოს ყრილობის გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) დამტკიცება ცენტრალური საბჭოს ანგარიშისა საზოგადოების მოქმედების შესახებ მთლიანად განვლილი პერიოდისათვის;

ბ) დამტკიცება საფინანსო ანგარიშისა და ბალანსისა იმავე პერიოდისათვის;

გ) დამტკიცება საზოგადოების მოქმედების გეგმისა;

დ) განხილვა წინადადებებისა საზოგადოების წესდების შეცვლის და დამატების შესახებ;

ე) განხილვა იმ საკითხებისა, რასაც ყრილობის განსახილველად შეიტანს საზოგადოების ცენტრალური საბჭო, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი და სხვა ცენტრალური უწყებები და აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალური ორგანოები;

ვ) არჩევა ცენტრალური საბჭოს წევრებისა და არჩევა ცენტრალური სარევიზიო კომისიისა.

21. ყველა საკითხი ყრილობაზე გადაწყდება ხმის მარტივი უმეტესობით და ხმის ახდილი მიცემით.

VII. საზოგადოების ცენტრალური საბჭო.

22. საზოგადოების ცენტრალური საბჭო ყრილობიდან ყრილობამდე არის საზოგადოების უმაღლესი ორგანო.

23. ცენტრალურ საბჭოს აირჩევს სრულიად საქართველოს ყრილობა ორი წლით, ყრილობის მიერ განსაზღვრული შედგენილობით, ყრილობის დელეგატთაგან და საზოგადოების საქმიანობით დაინტერესებულ ცენტრალურ უწყებათა, დაწესებულებათა, საზოგადოებრივ და პროფესიონალურ ორგანიზაციათაგან.

საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პლენუმს უფლება ეძლევა კოოპტაციის წესით მიიწვიოს თავის შედგენილობაში ახალი წევრები და განადგინოს თავისი შედგენილობიდან წევრები; ეს უკანასკნელი უფლება ხორციელდება წევრთა უკან გაწვევით იმ ორგანიზაციების მიერ, რომელთა წარმომადგენლებიც ეს წევრები არიან.

24. ცენტრალური საბჭოს პლენუმს მოიწვევს მისი პრეზიდიუმი წელიწადში ორჯერ მაინც.

25. ცენტრალური საბჭოს მოქმედების სფეროს შეადგენს:

ა) ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა გაუწიოს მისი ქვემდებარე ქვემდგომი ორგანოების მოქმედებას და გამოსცეს მათთვის სახელმძღვანელო ინსტრუქციები და დებულებები, რაც აწესრიგებს საზოგადოების მოქმედებას მთლიანად;

ბ) შეიმუშაოს საზოგადოების მოქმედების საერთო გეგმა, შეადგინოს შემოსავლის და გასავლის ხარჯთაღრიცხვები, ანგარიშები და ბალანსები და დაამტკიცოს საზოგადოების რესპუბლიკანური და საოლქო ორგანიზაციების მოქმედების გეგმები და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვები;

გ) განახორციელოს საზოგადოების ყრილობების დადგენილებანი;

დ) მიიღოს ანარიცხები საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციებისაგან და ყოველგვარი სხვა ფულადი შემოსავალი და ფასეულობა, აგრეთვე საჩუქრები და სხვ., მოათავსოს საზოგადოების სახსარი საკრედიტო დაწესებულებაში და სახელმწიფო შემნახველ სალაროში და უკანვე მიიღოს ეს სახსარი, მიიღოს ფულადი თანხები საფოსტო, საკრედიტო და სხვა დაწესებულებებიდან;

ე) დააწესოს საწევრო ბილეთის, საწევრო ნიშნის, ჟეტონის და საზოგადოების ბეჭდის ნიმუშები;

ვ) დააწესოს წარმომადგენლობის ნორმები და საზოგადოების ადგილობრივი ყრილობებისათვის და სრულიად საქართველოს ყრილობისათვის დელეგატების არჩევის წესი;

ზ) გასწიოს წარმომადგენლობა საზოგადოების სახელით საქართველოს სსრ-ის, ა/კსფსრ-ის და სსრ კავშირის ყველა ცენტრალურ და ადგილობრივ სამთავრობო, საადმინისტრაციო, საზოგადოებრივ და სასამართლო დაწესებულებაში;

თ) გასწიოს მმართველობა და ხელმძღვანელობა საზოგადოების კუთვნილი და ცენტრალური საბჭოს გამგებლობაში არსებული დაწესებულებებისა.

26. საქმეთა მმართველობისა და მუდმივი მიმდინარე მუშაობის წარმოებისათვის ცენტრალური საბჭო აირჩევს თავისი წრიდან პრეზიდიუმს, რომლის წევრთა რიცხვი განისაზღვრება საბჭოს პლენუმზე.

პრეზიდიუმს აქვს საზოგადოების საბჭოს უფლებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VIII. სარევიზიო კომისია.

27. ცენტრალურ სარევიზიო კომისიას აარჩევს საზოგადოების სრულიად საქართველოს ყრილობა საზოგადოების წევრთა რიცხვიდან სამი წევრისა და ერთი კანდიდატის შედგენილობით; სარევიზიო კომისია მოქმედობს ერთი ყრილობიდან მეორემდე.

ადგილობრივ სარევიზიო კომისიებს აარჩევენ სათანადო ყრილობები საზოგადოების წევრთა რიცხვიდან სამი წევრისა და ერთი კანდიდატის შედგენილობით; ეს სარევიზიო კომისიები მოქმედობენ ერთი ყრილობიდან მეორემდე.

სარევიზიო კომისიები აარჩევენ თავისი წრიდან თავმჯდომარეს და მდივანს.

შენიშვნა. სარევიზიო კომისიის წევრს არ შეუძლია დაიჭიროს საპასუხისმგებლო თანამდებობა იმ ორგანიზაციაში, სადაც იგი სარევიზიო კომისიის წევრია.

28. ცენტრალური და ადგილობრივი სარევიზიო კომისიები კონტროლს და მეთვალყურეობას გაუწევენ პარტიის და მთავრობის დირექტივების შესრულებას; მათი მიზანია გააშუქონ საზოგადოების მოქმედება მთლიანად და საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციების და უჯრედების მუშაობა; ანხორციელებენ საზოგადოების და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების და დაწესებულებების მოქმედების პერიოდულ გამოკვლევას და აგრეთვე ამოწმებენ სალაროს ხელთქონებულებას, ყოველგვარ ქონებას და სხვ.

29. სარევიზიო კომისიის წევრს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების ცენტრალური და ადგილობრივი საბჭოებისა და უჯრედების ბიუროების სხდომებში და აგრეთვე მათთან მოწყობილ ყველა კომისიებში, სათათბირო ხმის უფლებით.

30. სარევიზიო კომისია თავისი მოქმედების ანგარიშს აბარებს სათანადო ყრილობას; ყრილობებს შუა სარევიზიო კომისია შეიტანს საბჭოს და მისი პრეზიდიუმის განსახილველად თავის გამოკვლევების შედეგებს დასკვნებით და წინადადებებით.

გამოკვლევის შედეგები, საბჭოში და პრეზიდიუმში განხილვასთან ერთად, ეცნობება სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ორგანოებს.

ცენტრალური და ადგილობრივი სარევიზიო კომისიების მოქმედებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი დაეკისრება საზოგადოების ცენტრალურ და ადგილობრივ საბჭოებს.

IX. საზოგადოების ლიკვიდაცია.

31. საზოგადოების ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის წარდგენისამებრ.

საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციების ლიკვიდაცია მოხდება სათანადო აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებით, სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ორგანოების წარდგენით ან თანხმობით.

ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში საზოგადოების ლიკვიდაციად დანიშნა მოხდება ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალური ორგანოების წარდგენით.

საზოგადოების უჯრედი შეიძლება დაშლილ იქნას იმ ადგილობრივი საქალაქო ან სარაიონო საზოგადოების დადგენილებით, სადაც ის გატარებულია რეგისტრაციაში, ხოლო ეს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ორგანოს.

32. საზოგადოების და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების ლიკვიდაციის წესი და ვადა განისაზღვრება განსაკუთრებული წესებით, რასაც გამოსცემს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში—ამ რესპუბლიკებისა და ოლქის სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ცენტრალური ორგანოები.

33. მთელი საზოგადოების და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების ქონება, ფასეულობა და ფულადი სახსარი, რაც ლიკვიდაციის შემდეგ დარჩება, გადაეცემა საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს ან ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალურ ორგანოებს, კუთვნილებისამებრ, ომის ინვალიდებისა, ომში დაღუპულ პირთა ოჯახებისა და ავადმყოფ, დაჭრილ და დემობილიზებული წითელარმიელების დახმარების საქმისათვის.

ფ ა ს ი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1935 წ. № 24. პ/მ. რედაქტორი ე. გამრეკელი

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ.; 5/8 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 2/IV; ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/V ტირაჟი 1.800

მთავლ. რწმ. ს.—№ 8740. საქ. სსრ სახ. კომ. საბჭოს სტამბა. შეკვ. № 602